ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **97-97241911**
თარიღი: **09/07/2024**

ადრესატი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204861373
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ჯანსუღ კახიძის ქ., N15 (ყოფილი კრილოვის ქ. N15)

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის

პროგრამის დირექტორს

ქალბატონ ნანუკა ყრუაშვილს

ქალბატონო ნანუკა,

თქვენი 02/07/2024 წლის Nგ-04/107-24 განცხადების თანახმად გიგზავნით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას:

1. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებს არ გამოუყენებიათ წერილობითი შეკითხვის მექანიზმი;

2. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებმა, კერძოდ ინფრასტრუქტურის და საფინანსო კომისიების თავმჯდომარეებმა გამოიყენეს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებთან შეხვედრის უფლება; თემა - ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის დროს არსებული პრობლემების აღმოფხვრის და ა(ა) ი.პირების დაფინანსების თაობაზე;

3. საანგარიშო პერიოდში ინფორმაციის მიღების უფლებით ისარგებლა ფრაქცია,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა. (წერილი თან ერთვის) ;

4. მუნიციპალიტეტის მერმა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარმოადგინა 2023 წლის 15 ნოემბერს;

5. მუნიციპალიტეტის მერმა 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში საკრებულოში წარმოადგინა 2024 წლის 1 მარტს;(ანგარიში თან ერთვის);

6. 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის კვარტალური ანგარიში საკრებულოს წარედგინა 2024 წლის 22 აპრილს და 2024 წლის 6 თვის ანგარიში 4 ივლისს;

7. დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ ინიციატივა საკრებულოში არ ყოფილა;

8. მერმა საკრებულოში საქმიანობის წლიური ანგარიში (2023 წლის) წარადგინა 2024 წლის 5 აპრილს . საკრებულომ 2024 წლის 18 აპრილს განიხილა წარმოდგენილი ანგარიში და შეაფასა დადებითად; (ანგარიში თან ერთვის);

9. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს არ მოუთხოვია მერის რიგგარეშე ანგარიშის წარდგენა;

10. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ბიურომ მოისმინა მერიის საფინანსო სამსახურის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის სამსახურის, აუდიტის სამსახურის, ინფრასტრუქტურის სამსახურების უფროსების ანგარიშები;

11. 2024 წლის 28 თებერვალს მერმა საკრებულოს წარუდგინა წინა წელს(2023 წელს) განხორციელებული შესყიდვების ანგარიში; საკრებულომ წარმოდგენილი ანგარიში 2024 წლის 21 მარტს განიხილა საკრებულოს სხდომაზე;

12. საანგარიშო პერიოდში დროებითი სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა;

13. საკრებულოს მერისთვის უნდობლობა არ გამოუცხადებია. ასეთი ინიციატივა არ ყოფილა;

14. საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს, მერიის თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის ადმინიტრაციულ-სამართლებრივი აქტი სასამართლოში საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან

    წინააღმდეგობის მოტივით არ გასაჩივრებულა;

15. საანგარიშო პერიოდში ინტერპელაციის უფლება არცერთ სუბიექტს არ გამოუყენებია;

16. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში არ შეუტანია საკრებულოს მიერ მიღებული იმ სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა აღსრულების მდგომარეობაზე ბიურომ უნდა მოისმინოს ინფორმაცია;

17. კონტროლის განხორციელების მიზნით საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ მოისმინა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში; (მიმდინარე წლის 16 მაისს)

    საფინანსო კომისიამ ბიუჯეტის შესრულების სამი თვის ანგარიში. (მიმდინარე წლის 16 მაისს);

18. რეგლამენტის 113-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ინფორმაცია მოითხოვა ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ;

19. საკრებულოს იურიდიული პირების საქმიანობის ანგარიშები აღნიშნულ პერიოდში არ მოუსმენია. გათვალისწინებულია ა(ა)ი.პირების ანგარიშების მოსმენა უახლოეს სხდომებზე;

20. ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები საკრებულოს სხდომებს ესწრებიან. ძირითადად ეს საკითხებია - ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა და ბიუჯეტის შესრულება.

21. ფრაქცია,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ხშირად იყენებს აღნიშნულ უფლებას. კერძოდ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობაზე (მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების გათვალისწინებით) მერიიდან გამოითხოვს კონკრეტულ ინფორმაციას და სხდომაზე იბარებს ანგარიშვალდებულ პირებს;

22. საკრებულოს 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჰყავს 21(ოცდაერთი) წევრი.

    საკრებულოში არის 3(სამი) ფრაქცია; წევრების გადანაწილების განკარგულება თან ერთვის;

23. საკრებულოს აპარატში არისსაჯარო მოხელის 9(ცხრა) საშტატო ერთეული, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 11(თერთმეტი) პირი. საანგარიშო პერიოდში 30 ივნისის მდგომარეობით გვქონდა ერთი ვაკანსია და მოხელე დაინიშნა კონკურსის წესით;

24. ბრძანება გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაზე თან ერთვის;

25. საკრებულოს და კომისიების სხდომის ოქმები თან ერთვის;

26. საანგარიშო პერიოდში გამართული საკრებულოს სხდომების ვიდეო ჩანაწერები არ გვაქვს.

შემსრულებელი: საჯარო ინფორმაციის

გაცემაზე პასუხიმგებელი პირი ელისო გაზდელიანი

პატივისცემით,

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი